სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N2019-73
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი “2“ ,,აგვისტო’’ 2019 წ.

ერთის მხრივ, **ერედვის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში ,,შემსყიდველი“), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგეობლის **ოთარ ცოტნიაშვილის** სახით, და მეორე მხრივ **შპს „დაჯი“,** შემდგომში წოდებული ,,მიმწოდებლად’’, წარმოდგენილი მისი დირექტორის **დავით კვანტიძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც ,,მხარეები“, ვმოქმედებთ, საქართველოს კანონმდებლობის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის N510 და 2014 წლის 3 იანვრის N37 დადგენილებების შესაბამისად, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – ,,ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 ,,დღე“, ,,კვირა“, ,,თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 ,,შემსყიდველი’’ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 ,,მიმწოდებელი’’ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 ,,მომსახურება’’ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.7 ,,ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველის ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების **,,CHEVROLET NIVA”-ს (სახ/ნ BHP344)**-ს ტექნიკური ინსპექტირების მომსახურების (შემდგომში ,,მომსახურება“) შესყიდვა. (CPV კოდი 71631000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 60.00 (სამოცი) ლარს.

4. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადები

4.1 მომსახურების გაწევის ადგილია: . ქ. თბილისი, ქერჩის ქ. N10 ა-ში არსებულ მომსახურების ცენტრში.
4.2 მომსახურების გაწევის ვადები: შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის მომსახურების ცენტრში ავტოსატრანსპორტო საშუალების მიყვანიდან არაუგვიანეს 3(სამი) სამუშაო დღის ვადაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების გაწევის შესახებ ფორმდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტი, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია: ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ტარიელ მიდოდაშვილი.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1 გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანაგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.
6.3 დაფინანსების წყარო: 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

7. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) გაწეული მომსახურების ხარისხი პასუხობდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს;
ბ) მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის N510 და 2014 წლის 3 იანვრის N37 დადგენილებების მოთხოვნათა სრული დაცვით;
გ) მომსახურების განხორციელების შემდეგ თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მიმწოდებელი ვალდებულია გასცეს ავტოსატრანსპორტო საშუალების ინსპექტირების ანგარიში, რომელიც მოიცავს ავტოსატრანსპორტო საშუალების ინსპექტირების შედეგებსა და დასკვნას ხელშეკრულების 7.3 პუნქტში მითითებული დადგენილებებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ინსპექტირების ანგარიშის ფორმა გაცემული უნდა იყოს სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს-აკრედიტაციის ცენტრის მიერ დადგენილი ფორმით;
დ) ინსპექტირების შედეგების მიხედვით მიმწოდებლის მიერ ივსება ინსპექტირების ანგარიში ელექტრონული სახით აკრედიტაციის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ფორმის შესაბამისად. ინსპექტირების პროცესის შედეგები უნდა ფიქსირდებოდეს ონლაინ რეჟიმში და აისახებოდეს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ერთიან საინფორმაციო სისტემაში; ე. ი. თუ მომსახრების გაწევის შედეგად გამოვლინდება ხარვეზები და პირობები, ინსპექტირება არ ჩაითვლება დადებითად გავლილად და მიმწოდებელი გასცემს ინსპექტირების ანგარიშს ხარვეზების მითითებით. ხარვეზების და პირობების აღმოფხვრის შემდეგ შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს განმეორებით მიმართოს ინსპექტირების ჩასატარებლად;
ვ) ავტოსატრანსპორტო საშუალების განმეორებით ინსპექტირების წარდგენა უნდა მოხდეს პირველადი ინსპექტირების დროს ხარვეზების და პირობების გამოვლენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ ინსპექტირება ხორციელდება საერთო საფუძველზე;
ზ) თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების განმეორებით ინსპექტირება ხორციელდება მიმწოდებლის მომსახურების ცენტრში, რომელშიც ჩატარდა პირველი ინსპექტირება, განმეორებითი ინსპექტირება ტარდება მომსახრების საფასურის გადახდის გარეშე ინსპექტირების ანგარიშზე აღნიშნულ მხოლოდ იმ პოხიზიებზე, რომლებიც არ აკმაყოფილებენ დადგენილ კრიტერიუმებს;
თ) მომსახურების გაწევის დროს, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა რისკი ტექნიკისადმი მიყენებულ ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს;
ი) შემსყიდველის მიერ მოთხოვნის/ავტოსატრანსპორტო საშუალების წარუდგენლობის შემთხვევაში მომსახურების გაწევისა და მიღების, ასევე ანგარიშსწორების უფლება-მოვალეობები არ წარმოიქნება.

8. ინსპექტირება

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/ პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების დროს.
8.2 ინსპექტირებას განახორციელებს ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ტარიელ მიდოდაშვილი.
8.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება რაიმე სახის წუნი მიმწოდებელი ვალდებულა ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად გამოასწოროს წუნი.

8.4 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და გაწეული მომსახურების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.5 ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულების 4.2 და 7.3 პუნქტებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

9.2 ხელშეკრულების 6.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,2%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ქვეყანაში არსებული კრიზისით და სხვა.
12.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. მხარეთა იურიდიული მისამართი, რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ერედვის მუნიციპალიტეტი	შპს დაჯი
მის: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. N89/24	მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას V კვ, კორ.4, ბ.39
ს/კოდი 218065055	საიდენტიფიკაციო კოდი 204886276
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს ,,თი ბი სი ბანკი"
ა/ა GE85KS0000000330300001	ბანკის კოდი: TBCBGE 22
ბ/კოდი: AGREGE22	ა/ა GE66TB7384936020100002
Tel: 599 08 32 22	Tel: 555 55 58 33

Eredvi Municipality
Digitally signed by Eredvi Municipality
Date: 2019.08.02 16:21:08 +04'00'

16. მხარეთა ხელმოწერები

---	---
ოთარ ცოტნიაშვილი მუნიციპალიტეტის გამგებელი	დავით კვანტიძე შპს „დაჯი"-ს დირექტორი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 2 აგვისტო 2019 წელი

ჩვენ ქემოთ ხელის მომწერნი, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ N2019-63 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით **შპს "დაჯი"**-სგან მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანის **,,CHEVROLET NIVA"-ს (სახ/ნ BHP344)**-ს ტექნიკური ინსპექტირების მომსახურების (CPV კოდი - 71631000) შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში, არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი

---------- ოთარ ცოტნიაშვილი

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური
განვითარების, სტატისტიკისა და ქონების
მართვის სამსახურის უფროსი:

---------- ტარიელ მიდოდაშვილი